



# საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/1560

24 / ოქტომბერი / 2019 წ.



KA000060647814219

## ქალაქ ფოთში, 8 მარტის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, „თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და სახელმწიფოს ქონებაზე (წიაღის ჩათვლით) დამაგრებული და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საზოგადოების ქონებაზე დამაგრებული მიწების, აგრეთვე იმ მიწების, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ექვემდებარება დასახლებული კატეგორიის ქონებაზე დამაგრებას, განსაზღვრისა და გამიჯვნის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2007 წლის 24 ოქტომბრის, N 233 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, 2019 წლის 21 ოქტომბრის, N 5/61898 წერილის საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

**მუხლი 1.** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტისათვის მიკუთვნებული ქონება, ქალაქ ფოთში, 8 მარტის ქუჩაზე მდებარე ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტზე (ტროტუარი) დამაგრებული 90.00 კვ.მ; 160.00 კვ.მ; 275.00 კვ.მ; 366.00 კვ.მ; 379.00 კვ.მ; 392.00 კვ.მ; 417.00 კვ.მ. და 456.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები დარეგისტრირდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად, ძირითადი ქონების სახით.

**მუხლი 2.** ეთხოვოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დაარეგისტრიროს ბრძანების პირველ მუხლში მითითებული უძრავი ქონება, თანდართული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების (ელ. ვერსია) შესაბამისად.

**მუხლი 3.** ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს კონსტანტინე თოფურიას.

**მუხლი 4.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

**მუხლი 5.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/  
შტამბდასმულია  
ელექტრონულად

გონა კურდღელია